სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება №01-10/79

ბსუ-ს **იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები**
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის"** და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 24 სექტემბრის MES 6 25 0001216374 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი **ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში მისაღებ სტაჟიორთა შესარჩევად.**
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია **ბსუ-ს „სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის **მე-3 ან/და მე-4** სასწავლო წლის **სტუდენტებსა** და ბსუ-ს **„სამართლის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის **სტუდენტებს ან** აღნიშნული პროგრამების **კურსდამთავრებულებს** (**შენიშვნა:** საბაკალავრო საფეხურის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები).
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 2025 წლის **02 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის **(კანცელარია)** ან **ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის** (chancellery@bsu.edu.ge) **მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის N1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტატუსის შემთხვევაში) და **სასწავლო ბარათი,** ხოლო ბსუ-ს კურსდამთავრებულმა - ბსუ-ს დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
ე) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4);
ვ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

4. კონკურსის წესით შერჩეულმა **სტაჟიორებმა** (არაუმეტეს 4) **ერთი თვის** განმავლობაში ანაზღაურების გარეშე სტაჟირება (გამოსაცდელი ვადა) უნდა გაიარონ ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში **(სამუშაო ადგილი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის N35, ბსუ-ს N1 კორპუსი, ოთახი

N14 და N3), სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), ორ ცვლაში, შემდეგი განრიგით: პირველ ცვლაში (09:00 სთ - 13:00 სთ) – ორი სტაჟიორი, ხოლო მეორე ცვლაში (14:00სთ - 18:00სთ) - ორი სტაჟიორი.

5. სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული დავალების ფარგლებში.

6. სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების (სტაჟირების წარმატებით გავლის) შემთხვევაში სტაჟიორზე გაიცეს სერტიფიკატი.

7. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის (ერთი თვე) გასვლის შედეგად, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **განისაზღვროს არაუმეტეს 2 სტაჟიორი,** რომლებიც შესაძლებელია **დასაქმდეს იურიდიულ დეპარტამენტში,** არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება). დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარი).

8. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით **შეიქმნას საკონკურსო კომისია,** რომელმაც განსაზღვროს **კონკურსის ჩატარების ვადები** (დოკუმენტაციის გადარჩევა, კონკურსანტებთან გასაუბრება, შედეგების გამოცხადება) და ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

9. განცხადება სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი) გამოქვეყნდეს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კონკურსების ველში. იმავე ველში თან დაერთოს წინამდებარე ბრძანება, ბსუ-ს სტაჟირების გავლის წესი, სტაჟირების განაცხადის ფორმა, იურიდიული დეპარტამენტის დებულება და ამავე დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო აღწერილობა.

10. **ეთხოვოს** ბსუ-ს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა **ფაკულტეტს** წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს ,,სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო და ,,სამართლის" სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების ინფორმირება (გაცნობა).

11. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

12. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები
კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 01 ოქტომბრის N 01-10/79 **ბრძანების N1 დანართი**

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი

1. **გამოცხადდა კონკურსი ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შესარჩევად.**
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან/და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტებსა და ბსუ-ს „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ან აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულებს (შენიშვნა: საბაკალავრო საფეხურის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები).
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 2025 წლის **02 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის **(კანცელარია)** ან **ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის** (chancellery@bsu.edu.ge) მეშვეობით **უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის N1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტატუსის შემთხვევაში) და **სასწავლო ბარათი,** ხოლო ბსუ-ს კურსდამთავრებულმა - ბსუ-ს დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
ე) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4);
ვ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

4. კონკურსის წესით შერჩეული **ოთხი სტაჟიორი ერთი თვის** განმავლობაში ანაზღაურების გარეშე სტაჟირებას გაივლის ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში **(სამუშაო ადგილი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის N35, ბსუ-ს N1 კორპუსი, ოთახი N14 და N3), სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), ორ ცვლაში, შემდეგი განრიგით: პირველ ცვლაში (09:00 სთ - 13:00 სთ) – ორი სტაჟიორი, ხოლო მეორე ცვლაში (14:00სთ - 18:00სთ) - ორი სტაჟიორი.
5. სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული დავალების ფარგლებში.
6. სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების (სტაჟირების წარმატებით გავლის) შემთხვევაში სტაჟიორზე გაიცემა სერტიფიკატი.

7. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის (ერთი თვე) გასვლის შედეგად, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **განისაზღვრება არაუმეტეს 2 სტაჟიორი,** რომელიც შესაძლებელია **დასაქმდეს იურიდიულ დეპარტამენტში,** არაუმეტეს 6 თვის ვადით **(ანაზღაურებადი სტაჟირება).** დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარი).
8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი **საკონკურსო კომისიის მიერ** განსაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები (დოკუმენტაციის გადარჩევა, კონკურსანტებთან გასაუბრება, შედეგების გამოცხადება) და ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ წინამდებარე **განცხადებას თან ერთვის:**

9.1. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება (№01-10/79, 01.10.2025).

9.2. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესი";

9.3. სტაჟირების განაცხადის ფორმა („ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის" N1 დანართი);

9.4. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულება;

9.5. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო (ფუნქციების) აღწერილობა.